ხელშეკრულება №20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. რუსთავი

ერთი მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტებში), წარმომადგენელი რწმუნებულის მოადგილის, ილია ჯალაღანიას სახით (შემდგომში შემსყიდველი) და მეორეს მხრივ შპს „გორგია" (ს/კ245621288) (შემდგომში მომწოდებელი) წარმომადგენელი დირექტორის, მინდობილი პირის ქეთევან ლომაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის I პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში–ხელშეკრულება) ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2.,,შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში–შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3.,,მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4.,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5.,,დღე" ,,კვირა" ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, თვეს, კვირას თუ ხელშეკრულებით სხვა პირობები არ არის გათვალისწინებული;

1.6.,,საქონელი" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1. ხელშეკრილების საგანს წარმოადგენს დანართით გათვალისწინებული სანტექნიკური მოწყობილობებისა და სამეურნეო საქონლის შესყიდვა დანართის შესაბამისად.

2.2 დაფინანსების წყარო : 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

3. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება:

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **160.30 (ასსამოცი ლარი და 30 თეთრი) ლარს**, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.2 **CPV14500000 – 10.85 ლარი; CPV24200000 – 22.80 ლარი, CPV39200000 – 44.75 ლარი; CPV44100000 – 37.50 ლარი; CPV44400000 – 44.40 ლარი;**

4. ანგარიშსწორება:

4.1.ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

4.2.ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის, წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე.

4.3.ანგარიშსწორება მოხდება მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება ჩაბარების წესი:

5.1.საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2.შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს აპარატის უფროსი, ნინო გენგაშვილი ან აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კონსტანტინე მეტონიძე.

6. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

6.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება 2023 წლის 27 იანვრის ჩათვლით ქ. რუსთავი მეგობრობის გამზირი # 29/ბ.

7. მხარეების უფლებები და მოვალეობები:

7.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2.შემსყიდველი ვალდებულია მომწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის აუნაზღაუროს მომწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.
7.3.მიმწოდებელი ვალდებულია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი:

8.1.შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
8.2.ხელშეკრულების 8.1. პუნქტით გათვალისწინებულ კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციის აპარატის უფროსი ან აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კონსტანტინე მეტონიძე.

9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა:

9.1.ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.
9.2.ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.3.მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებებით, შეატყობინოს მეორე მხარეს 9.2. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შესახებ.
9.4.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

10.ფორს-მაჟორი

10.1.მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებებისაგან ფორსმაჟორული გარემოებების დასრულებამდე.
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს – მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1 ,,მხარის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დამრღვევ ,,მხარეს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1% - ის ოდენობით.

11.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ს, ,,მხარე" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს დამრღვევს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1.ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადები:

13.1.ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14.სხვა პირობები

14.1.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ელექტრონულად.

15. რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (ს/კ 216336329)	შპს ,,გორგია'' (ს/კ245621288)
ქ. რუსთავი მეგობრობის გამზირი # 29/ბ	ქ. რუსთავი შარტავას გამზირი # 2
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა	თიბისი ბანკი TBCGE22
	GE62TB1007536020100008
	შპს ,,გორგია''
რწმუნებულის მოადგილე	დირექტორის მინდობილი პირი
ილია ჯალაღანია	ქეთევან ლომაძე

Ilia Jalaghania

Digitally signed by Ilia Jalaghania
Date: 2023.01.25 15:46:53 +04'00'

დანართი

№	CPV	დასახელება	განზ. ერთ.	რაოდ.	ერთ. ღირ.	ჯამი
1	14522300	ზუფარა ღრუბლის ფუძეზე P 100	ც	7	1.55	**10.85**
2	24200000	კოლორექსი 100 მლ #60 (00203)	ც	6	3.80	**22.80**
3	39224210	25 სმ სტანდარტული ლილვაკის სახელური	ც	1	6.60	6.60
4	39224210	ლილვაკის თავი პოლიაკრილის, წყლოვანი საღებავისთვის 25 სმ-იანი (18მმ-იანი ბეწვით)	ც	2	9.45	18.90
5	39224210	ფუნჯი შერეული ბეწვით, პლასტმასის სახელურით - 50 მმ (სისქე 6მმ)	ც	2	4.75	9.50
6	39241000	EMTOP საკანცელარიო დანა 18*100მმ ESNK18102	ც	2	3.90	7.80
7	39241000	საკანცელარიო დანის სატადარიგო პირები 10ც-იანი 18*100mm TOL71-30011	ც	1	1.95	1.95
ჯამი:						**44.75**
8	44111510	SISTA UNIV სილიკონი თეთრი 280 მლ	ც	2	18.75	**37.50**
9	44424200	ქაღალდის წებვადი ლენტი (თხელი) 48მმX25მ(40^{0}ც)	ც	10	3.99	39.90
10	44424200	პოლიმერული წებოვანი ლენტი HP/45M	ც	1	4.50	4.50
ჯამი:						**44.40**
სულ ჯამი:						**160.30**

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ.რუსთავი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი, ხელის მოწერით ადასტურებს, რომ შესყიდვის განხორციელება შეთანხმებულია და მიმწოდებლის (შპს ,,გორგია'') მიმართ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სახელწმიფო რწმუნებულის მოადგილე: ილია ჯალაღანია

Ilia Jalaghania

Digitally signed by Ilia Jalaghania
Date: 2023.01.25 15:47:25 +04'00'

სახელწმიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის უფროსი: ნინო გენგაშვილი

Nino Gengashvili

Digitally signed by Nino Gengashvili
Date: 2023.01.25 15:54:10 +04'00'

სახელწმიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: კონსტანტინე მეტონიძე

Konstantine Metonidze

Digitally signed by Konstantine Metonidze
Date: 2023.01.25 16:23:35 +04'00'